










A





B





1



2




3




4

4 x
Ø 4,2 x 44,4




5



6

2 x
Ø 2,9 x 9,5



ka

⚠ მნიშვნელოვანი უსაფრთხოების ინფორმაცია

ყურადღებით წაიკითხეთ ეს ინსტრუქციები. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებთ თქვენი დანადგარის სწორად და უსაფრთხო ოპერირებას. შეინახეთ ინსტრუქციის სახელმძღვანელო და სამონტაჟო ინსტრუქციები შემდგომი გამოყენებისათვის ან მომდევნო მესაკუთრისათვის.

მოწყობილობა შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ მაშინ, თუ იგი სწორად, უსაფრთხოების ინსტრუქციების მიხედვით არის დაყენებული. მემონტაჟემ უნდა უზრუნველყოს, მოწყობილობის იდეალური ექსპლუატაცია მის მონტაჟის ადგილზე.


გამწოვის სიგანე აუცილებლად უნდა იყოს გამათბობლის თაროს სიგანის მაინც.

მონტაჟისათვის, იხილეთ მოქმედი სამშენებლო რეგულაციები და ასევე ადგილობრივი გაზისა და ელექტროენერჯის მომწოდებლების რეგულაციები.

სიკვდილის საფრთხე!

ნამწვავი აირის უკან შემობრვით მოწამვლის რისკი.

ყოველთვის უზრუნველყავით ოთახში სათანადო სუფთა ჰაერის მიწოდება, თუ დანადგარი ოპერირებს გამონაბოლქვი აირის რეჟიმში, როდესაც ამავდროულად ოთახში ჰაერზე დამოკიდებული სითბოს გამომცემი დანადგარი მუშაობს.




ჰაერზე დამოკიდებული სითბოს გამომცემი დანადგარები (მაგ: გაზის, ზეთის, ხის ან ნახშირის გამათბობლები ან წყლის გამაცხელებლები) წვის ჰაერს, იმ ოთახიდან იღებენ, რომელშიც დამონტაჟებული არიან და შესაბამისად აირის ნამწვავის გამოყოფა, გამოსაბოლქვი აირის სისტემის (მაგ. საკვამური) მიერ ღია სივრცეში ხდება.

აქტიურ ორთქლის გამწოვთან ერთად ჰაერის გაწოვა ხდება, როგორც სამზარეულოდან, ასევე მეზობელი ოთახებიდანაც - ნაწილობრივი ვაკუუმი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საკმარისი სუფთა ჰაერი არ მიეწოდება ოთახებს. გაწევიდან ან გამწოვის ღეროდან გამოსული მომწამვლელი აირი ან გამონაბოლქვი ისევე საცხოვრებელ ფართში აღწევს.

- ამიტომ, ყოველთვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი ადეკვატური შემომავალი სუფთა ჰაერი.
- მხოლოდ ჰაერის შემომტანი /გამწოვი კედლის ყუთი ვერ უზრუნველყოფს საჭირო ლიმიტის დაცვას.

უსაფრთხო მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც იმ ადგილას სადაც გათბობის დანადგარია დამონტაჟებული ნაწილობრივი ვაკუუმი არ აღემატება 4 პა (0.04 მბარ). ამის მიღწევა შესაძლებელია მაშინ, როდესაც წვისთვის საჭირო ჰაერს საშუალება აქვს შევიდეს დაულოქავ ღიობებში, მაგალითად კარებში, ფანჯრებში, შემომავალ/გამწოვი კედლის ყუთებში ან შევიდეს სხვა ტექნიკური საშუალებებით.



ყველა შემთხვევაში გაიარეთ კონსულტაცია პასუხისმგებელ კვალმსაღენის მწენდავ პირთან. იგი შეძლებს შეაფასოს სახლის მთელი სავენტილაციო კონფიგურაცია და მოგცეთ რჩევა შესაფერისი სავენტილაციო ზომების შესახებ.

აუკრძალავი ოპერაცია შესაძლებელია ჩატარდეს თუ ორთქლის გამწოვი უკლებლივ მოქმედებს საჰაერო რეჟიმში.

სიკვდილის საფრთხე!

ნამწვავი აირის უკან შემობრუნებით მოწამვლის რისკი. თუ ამონტაჟებთ სავენტილაციო სისტემას ოთახში, რომელშიც განთავსებულია საკვამური/კვამლსადენთან დაკავშირებული სითბოს წარმომქმნელი მოწყობილობა, ელექტროენერჯის მიმწოდებელი თავი აღჭურვილი უნდა იყოს შესაფერისი უსაფრთხოების გადამრთველით.

ხანძრის რისკი!

ცხიმის ფილტრში არსებულ ცხიმის ნარჩენებს შეიძლება ცეცხლი წაეკიდოს. სითბოს აკუმულირების თავიდან ასაცილებლად, დაცული უნდა იქნას უსაფრთხოების კონკრეტული დისტანციები. გაითვალისწინეთ თქვენი სამზარეულო მოწყობილობის სპეციფიკაციები. თუ გაზის სანთურა და ელექტრო გამაცხელებელი ერთად გამოიყენება, გამოიყენეთ უდიდესი მითითებული მანძილი.

დაზიანების რისკი!

- დანადგარის შიდა კომპონენტებს შესაძლოა ჰქონდეთ ბასრი კუთხეები. ჩაიცვით დამცავი ხელთათმანები.
- დანადგარი შეიძლება წაიქცეს, თუ ის ჯეროვნად არ არის დამაგრებული ადგილზე. ყველა მყარი ნაწილი მჭიდროდ და დაცულად უნდა იყოს დამაგრებული.
- დანადგარი მძიმეა. დანადგარის გადაადგილებისათვის, საჭიროა 2 ადამიანი. გამოიყენეთ მხოლოდ შესაბამისი ხელსაწყოები და აღჭურვილობა.

ელექტრო შოკის რისკი!

დანადგარის შიდა კომპონენტებს შესაძლოა ჰქონდეთ ბასრი კუთხეები. ამას შეუძლია შემავრთველი კაბელების დაზიანება გამოიწვიოს. არ გადალუნოთ ან მოხაროთ დამაკავშირებელი კაბელები მოწყობილობის დაყენების დროს.

ელექტრო შოკის რისკი!

დანადგარი აღჭურვილია EU Schuko-ს შესაერთებლით. დანიურ როზეტში დამცავი დამიწების უზრუნველყოფისათვის, დანადგარი შეერთებული უნდა იყოს სათანადო შესაერთებლის გადამყვანით. ამ გადამყვანის (დაშვებული, მაქს. 13 ამპ-ზე) მიღება შეგიძლიათ გაყიდვების შემდგომ სამსახურში (სათადარიგო ნაწილის ნომერი 623333).

დანარჩობის საფრთხე!

შესაფუთი მასალები საშიშია ბავშვებისათვის. არასოდეს მისცეთ ბავშვებს უფლება, ითამაშონ შესაფუთი მასალებით.

ზოგადი ინფორმაცია

ჰაერის გაწოვის რეჟიმი

მითითება: გაწოვილი ჰაერი არ უნდა გადიოდეს საკვამურში რომელიც გამოიყენება იმ ოთახების ვენტილაციისთვის, სადაც გამათბობელი მოწყობილობა დგას.

- სანამ გამონაბოლქვს შეუშვებთ გამოუყენებელ გამონაბოლქვის ან ნამწვის საკვამურში, მიიღეთ პასუხისმგებელი გათბობის ინჟინერის თანხმობა.
- თუ გამონაბოლქვი, გარე კედლის მეშვეობით გამოდის, გამოიყენებული უნდა იქნეს კედლის ტექსტკოპური გამწოვი მილი.

გამოსაბოლქვი მილი

მითითება: მწარმოებელი არ მოისაზრებს რაიმე სახის გარანტიას, მილების სექციასთან დაკავშირებული საჩივრების შემთხვევაში.

- დანადგარი მის ოპტიმალურ შესრულებას, მოკლე, სწორი ჰაერის გამწოვი მილითა და მილის მაქსიმალური შესაძლო დიამეტრისას აღწევს.
- საჰაერო მილებში ხანგრძლივი უხეში გამონაბოლქვის შედეგად, მრავალი მილი იღუნება ან იცვლება მილის დიამეტრი რომელიც 150 მმ ნაკლებია, ოპტიმალური გაწოვის დონე არ არის მიღწეული და ვენტილატორის ხმა გაიზარდა.
- მილები და შლანგები გამონაბოლქვის საჰაერო ხაზის გაყვანილობაში უნდა იყოს არაფეთქებადი მასალისგან.

მრგვალი მილები

რეკომენდირებულია, შიდა დიამეტრი 150 მმ, მაგრამ სულ მცირე 120 მმ.

ბრტყელი მილები

შიდა რადიუსი უნდა შეესაბამებოდეს მრგვალი მილების დიამეტრს.

დია. 150 მმ დაახლ. 177 სმ²

დია. 120 მმ დაახლ. 113 სმ²

- ბრტყელ მილებს არ უნდა ჰქონდეთ რაიმე სახის ბასრი გამონაზარდები.
- გამოიყენეთ დასალუქი ლენტები განსხვავებული დიამეტრის მილებისთვის.

ელექტრო კავშირი

⚠ ელექტრო შოკის რისკი!

დანადგარის შიდა კომპონენტებს შესაძლოა ჰქონდეთ ბასრი კუთხეები. ამას შეუძლია შემავრთველი კაბელების დაზიანება გამოიწვიოს. არ გადალუნოთ ან მოხაროთ დამაკავშირებელი კაბელები მოწყობილობის დაყენების დროს.

შეერთების აუცილებელი მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ საინფორმაციო დაფაზე ხელსაწყოში შიგნით; ამისათვის მოხსენით მეტალის ცხიმის ფილტრი.

მაკავშირებელი კაბელის სიგრძე: დაახლ. 1 მ

ეს მოწყობილობა ესადაგება EC ელექტრომაგნიტური თავსებადობის დაბრკოლების აღკვეთის წესებს.

დანადგარის ზომები (სურ. A)

უსაფრთხოების ზომები (სურ. B)

მინიმალური დაშორება ღუმელის თაროზე მდებარე საკვების მომზადების ტექნიკის მხარდამჭერი ზედაპირსა და სახურავის ყველაზე დაბალ ნაწილს შორის, არ უნდა იყოს ნაკლები 500 მმ-ზე ელექტრო ქურისგან და 650 მმ-ი გაზის ან შერეული ტიპის ქურისგან.

თუკი გაზის ქურის მონტაჟის ინსტრუქციაში აღნიშნულია უფრო დიდი დაშორება, ისიც უნდა იქნეს დაცული.

მოწყობილობების მომზადება

მორგებული მოწყობილობა უნდა უძლებდეს მაღალ ტემპერატურას 90 °C -მდე მორგებული მოწყობილობის სტაბილურობა კვლავ უნდა იყოს გარანტირებული ამოჭრილი ნაწილების მოშორების შემდგომ.

ამოჭრით სამონტაჟო ნახაზების მიხედვით.

მოაშორეთ ყველანაირი ნარჩენი (მაგ.: ნახერხი) სამუშაოს დასრულების შემდგომ.

მითითებები

- შეამოწმეთ ადგილი საშუალო საფეხურსა და მოწყობილობის ქვედა ზღვარს შორის (იხილეთ ნახაზი).
 - გამოიყენეთ თანდართული თარგი ხვრელების გასაბურღად და ჭრილების გასაკეთებლად.
1. მოათავსეთ თარგი საშუალო საფეხურის ქვედა მხარეს. გახვრეტეთ ხვრელები. (სურ. 1)
 2. გამოჭერით ადგილი გამწოვი მილისათვის: საკვამურის ღიობი მორგებული მოწყობილობას თავზე (სურ. 2) საკვამურის ღიობი მორგებული მოწყობილობას უკან (სურ. 3)

დანადგარის მონტაჟი

მიანრახნეთ მოწყობილობა მორგებულ ერთეულს. (სურ. 4)

დანადგარის შეერთება (სურათი 5)

მითითებები

- ჰაერის გამოშვების ოპერაციისთვის, უნდა იყოს მორგებული უკუდინების სარქველი. თუ მილის ხუფი არ მოჰყვება მოწყობილობას, მისი შექმნა შეიძლება სპეციალიზირებულ მოვაჭრესთან.
- თუ გამონაბოლქვი, გარე კედლის მეშვეობით გამოდის, გამოიყენებული უნდა იქნეს კედლის ტექსტკოპური გამწოვი მილი.

ჰაერის გამწოვის დაკავშირება

მითითება: ალუმინის მილის გამოყენების შემთხვევაში, წინასწარ დაამუშავეთ შეერთება, რომ გლუვი იყოს.

1. ჰაერის გამწოვი მილი მიაერთეთ პირდაპირ ჰაერის მილის მაკავშირებელს.
2. დაუკავშირეთ ჰაერის გამოსაბოლქვის ღიობს.
3. განაზოცილეთ მუხლების სათანადო იზოლაცია.

კავშირის დამყარება მიმოქცევადი ჰაერისთვის (სურათი 6).

მითითებები

- ალუმინის მილის გამოყენების შემთხვევაში, წინასწარ დაამუშავეთ შეერთება, რომ გლუვი იყოს.
 - მოარგეთ ჰერის გისოსი, რათა ჰაერმა თავისუფლად იმოძრაოს.
1. ჰაერის გამწოვი მილი მიაერთეთ პირდაპირ ჰაერის მილის მაკავშირებელს.
 2. დაამყარეთ კავშირი მორგებული ერთეულის ღიობთან.
 3. მიანრახნეთ ჰერის გისოსი მორგებულ ერთეულს.
 4. განაზოცილეთ მუხლების სათანადო იზოლაცია.

დაუკავშირეთ მთავარ ჩამრთველს

შეერთეთ მაგისტრალური ჩამრთველი დამიწებულ სოკეტში.

დანადგარის მოხსნა

1. გამოართეთ დანადგარი ენერჯის წყაროდან.
2. გამოანთავისუფლეთ საკვამურის მილები.
3. მოუშვით მოწყობილობაზე დასამაგრებელი ხრახნები.
4. მოხსენით დანადგარი.

